<u>განმარტებები მტკიცებულებებთან დაკავშირებით</u>

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილებით: „ავტორიზაციისას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღარ განსაზღვრავს სავალდებულოდ წარსადგენ მტკიცებულებებს. სკოლა თვითონ გადაწყვეტს, თუ რა გზით დაადასტურებს სტანდარტებთან შესაბამისობას.";

1. ***ნიშნავს თუ არა ეს, რომ ავტორიზაცია და სხვა ადმინისტრაციული წარმოებები (ფართის ცვლილება, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, პროგრამის დამატება და სხვა) წარიმართება მტკიცებულებების გარეშე?***
   არა, ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ადმინისტრაციული წარმოება მტკიცებულებების გარეშე განხორციელდება. თუ რა სახის მტკიცებულებით დაადასტურებს სკოლა სტანდარტთან შესაბამისობას, ეს სკოლის გადასაწყვეტია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული.
2. ***აუცილებელია თუ არა მტკიცებულების წარდგენა ყველა ინდიკატორთან მიმართებით?***
   სკოლა, განაცხადის შევსებისას, ინდიკატორთან შესაბამისობას სიტყვიერად აღწერს, თუ ამის დასადასტურებლად მას მტკიცებულებები გააჩნია, იქვე ატვირთავს მათ, თუ არ გააჩნია- ლოგიკურია ვერ ატვირთავს. ზოგჯერ ერთი მტკიცებულება ბევრ ინდიკატორთან მიმართებით შესაძლოა იქნეს გამოყენებული, მაგალითად <u>სასკოლო კურიკულუმი</u>. ამ დროს მტკიცებულება მხოლოდ ერთხელ აიტვირთება და ყველა სხვა შემთხვევაში გაკეთდება მითითება უკვე ატვირთულ მტკიცებულებაზე/მის ნაწილზე. ზოგჯერ კი შესაძლოა ერთ ინდიკატორთან დაკავშირებით ერთზე მეტი მტკიცებულება იქნეს გამოყენებული. სკოლა (ან სტატუსის მაძიებელი) ამაში არაა შეზღუდული და ამის შესახებ დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.
3. ***როგორ ივსება თვითშეფასება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი კომპონენტი/ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის დროს, რადგანაც სკოლას ჯერ კიდევ არ აქვს ამ მხრივ საქმიანობის გამოცდილება?***
   თუ სტანდარტი ითვალისწინებს უკვე განხორციელებული პრაქტიკის შეფასებას და ეს პრაქტიკა სკოლას ჯერ არ აქვს, თვითშეფასებაში მიეთითება, რომ „ვერ ფასდება, რადგანაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას".
4. ***შესაძლებელია თუ არა, რომ სკოლამ განაცხადში არ ატვირთოს მტკიცებულება იმ იმედით, რომ ექსპერტები ვიზიტის დროს ამას ინტერვიუერებით გამოარკვევენ?***
   მტკიცებულება არ გამოიყენება მხოლოდ გარე შეფასებისათვის, არამედ ის პირველ რიგში თვითონ დაწესებულებას სჭირდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ავტორიზაციის ექსპერტთა მხრიდან ჩატარებული ინტერვიუერება წარმოადგენს უკვე არსებული მტკიცებულებების ვალიდაციის (ვარგისიანობის დადასტურების) მექანიზმს და არა მათი მოპოვების მექანიზმს. მტკიცებულებათა მოპოვება დაწესებულების ვალდებულებაა. მათ შორის, თვითონ, დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც ერთ-ერთი მტკიცებულებაა. გარე შემფასებელი, ექსპერტი, ვერ შეასრულებს დაწესებულების მოვალეობას მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებით.

5. *შესაძლებელია თუ არა მტკიცებულებები განაცხადის წარდგენის შემდეგ იქნეს მიწოდებული ექსპერტებისათვის?*

მოქმედი კანონმდებლობა ამ მხრივ მოქნილია და ამის შესაძლებლობას იძლევა წარმოების განსაზღვრულ ეტაპზე. თუმცა დაბეჯითებით რეკომენდებულია მტკიცებულებები თავიდანვე იქნეს ექსპერტებისათვის მიწოდებული, რადგანაც ექსპერტები ვიზიტამდე სწავლობენ განაცხადს, მასზე თანდართულ მასალებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაწესებულებაში ფიზიკურად ყოფნის დროს და ეფექტიანს ხდის მათ მუშაობას.

6. *როგორია კარგი მტკიცებულება?*

კარგი, ანუ „ვალიდური“ მტკიცებულება უნდა აკმაყოფილებდეს ორ პრინციპს: <u>საკმარისობის და სანდოობის.</u>

7. *რას ნიშნავს საკმარისი მტკცებულება?*

*საკმარისობის პრინციპი დაცულია, თუ მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ფაქტს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს თუ რა არის შეფასების საგანი: არის ეს დოკუმენტი თუ პროცესი. მაგალითად, **„სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;“** აქ შეფასების საგანია დოკუმენტი, მისი შინაარსი, რომლის გაცნობითაც დავინახავთ რამდენად არის ის შესაბამისობაში (არ მოდის წინააღმდეგობაში) ზგემთან. ხოლო ინდიკატორის **„სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;“** შეფასებისას აქ მისიის ტექსტი არაა ადეკვატური მტკიცებულება. მეტიც, ის არაფერს გვეუბნება შემუშავების <u>პროცესთან</u> დაკავშირებით, რაც ამ ინდიკატორის მიხედვით შეფასების საგანს წარმოადგენს. ამიტომ აქ მინიმუმ სიტყვიერად უნდა განიმარტოს, თუ როგორ განხორციელდა შემუშავების პროცესი, ვინ მიიღო მონაწილეობა, რა ფორმით და სხვა, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში ამისი დადასტურებაც უნდა არსებობდეს.*

8. *რას ნიშნავს სანდო მტკიცებულება?*

მტკიცებულებათა სანდოობა უზრუნველყოფილია, როდესაც ამა თუ იმ სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის მიზნით წარმოდგენილი მტკიცებულების ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს. სანდოობის თვალსაზრისით არსებობს შემდეგი სახის მტკიცებულებები:

1. *<u>ვალიდირებული მტკიცებულებები.</u> ესაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნები და გაცემული რეკომენდაციები, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის, მასწავლებლის სახლის, ემისის, ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს, გამოცდების ეროვნული ცენტრის ან სხვა სააგენტოების გადაწყვეტილებები, ნებართვები, კორესპონდენციები, ინფორმაციები, სხვა გარე შემფასებლის დასკვნები, როგორიცაა გარე აუდიტის, ISO ან EFQM ექსპერტთა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, შრომის ინსპექციის, სხვა უფლებამოსილი უწყებებისა და საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე არსებული ორგანიზაციების და სააგენტოების დასკვნები, ნეიტრალური საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებები და სხვა. მათი სანდოობის ხარისხი მაღალია და გარე შეფასების დროს მათი ნამდვილობის გადამოწმება ინტერვიურების გზით, როგორც წესი, არ ხდება.*

2. *<u>დაინტერესებული მხარეებისაგან მოპოვებული მტკიცებულებები</u> როგორიცაა კურსდამთავრებულთა ან მშობელთა კვლევის შედეგები, ნომინაციები, ჯილდოები, აღიარება, დაინტერესებულ მხარეთა გამოხმაურება და სხვა. მათი სანდოობის ხარისხი საშუალოა;*
3. *<u>შიდა მტკიცებულებები:</u> შიდა კვლევებით მიღებული შედეგები, მეცადინეობებზე დაკვირვების/დასწრების ოქმები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შიდა გამოკითხვები, შეფასების შედეგები/უწყისები და სხვა. შედარებით დაბალი სანდოობისაა.*

აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ მტკიცებულებათა ბოლო ორი ტიპი არავალიდურია. პირიქით, მტკიცებულებათა დიდი ნაწილი სწორედ შიდა მტკიცებულებებია. გარე შემფასებელი გადაამოწმებს ამ მტკიცებულებებს სანდოობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის, როგორც წესი, ინტერვიუ გამოიყენება, რისი აუცილებლობაც არ დგას გარე, ვალიდირებული მტკიცებულებების შემთხვევაში.

<u>დაწესებულებებს შეუძლიათ დამატებითი განმარტებების ან კონსულტაციების საჭიროებს შემთხვევაში გამოიყენონ საკონსულტაციო სერვისები.</u>